სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

61585843833814

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N141116129

რეგისტრაციის თარიღი

10.10.2014 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი
საქართველო
ორიათასთოთხმეტი წლის ათ ოქტომბერს მე, მაია ბრეგვაძეს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გაზალეთის ქ. №1, მომმართა შპს «ბალავარი»-ს (რომელიც რეგისტრირებულია 12.12.2008 საიდენტიფიკაციო კოდით 200269583) დირექტორმა ილია მაღრაძემ (დაბ.01.02.1973 ქ.თბილისის მცხ. ქ.თბილისი მარჯანიშვილის ქუჩა №27, პირადი №01030030510) მან მოითხოვა წინამდებარე მინდობილობის შედგენა და მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, ქმედუნარიანობა და - ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მე მოვამზადე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, შპს «ბალავარი»-ს (რომელიც რეგისტრირებულია 12.12.2008 საიდენტიფიკაციო კოდით 200269583) დირექტორი ილია მაღრაძე (დაბ.01.02.1973 ქ.თბილისის მცხ. ქ.თბილისი მარჯანიშვილის ქუჩა №27, პირადი №01030030510) ამ მინდობილობით სრულ უფლებამოსილებას ვანიჭებ **დავით ლოსაბერიძეს** (დაბ.14.03.1967 თბილისი, პირადი №01005006844) იყოს ჩემი, როგორც შპს «ბალავარი»-ს წარმომადგენელი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საკადასტრო და სხვა შესაბამის სამსახურებში, აწარმოოს ჩემი, როგორ შპს «ბალავარი»-ს დირექტორის სახელით საქმეები, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნახაზები, პროექტი, შეიტანოს ყველა სახის განაცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ჩემი, როგორც შპს «ბალავარი»-ს დირექტორის სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადოდ დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონებები, სადაც არ უნდა მდებარეობდეს იგი, საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის, აწარმოოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროცედურები და ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთმითითებული დავალებების შესასრულებლად. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.
გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა, დღგ 1,80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლით. 2.00 ლარი – რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, სულ გადახდილია: 13,80 ლარი

შპს «ბალავარი»-ს დირექტორი ილია მაღრაძე

ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე